# ქართული გაზეთი

ოკდომბრის ჱ დღესა ჩყკ წელსა ტფილისში.

Ho. 40.

## გამოცხადებანი.

უზენაესის საქართველოს მმართებლობის ისპოლნიტელის ექსპედიციისაგან იცხადების პუბლიკაციით:

1. გამოუცხადებლობისაგამო მუშტართა სა პირველს ვადაზედ, ესე იგი 16 ტაელს სეკტემბერსა საჯაროდ ოთხის წლით იჯარის ასაღებლად პირველად ბაქუს მხარეში გამომდინარის შავისა და თეთრის ნავთისა, მეორედ იმავე მხარეში ბოგებულის მარილისა მარილიანს ტბებში, და მესამე ზალიკის შაბის მადნისა, რომელიც იპოვება ელისავეთპოლის მაზრაში, ისპოლნიტელნის ექსპედიცია კვალახლად აცხადებს პუბლიკაციით, რომ თუ ჰსწადდეს ვისმე აღება ჴსენებულის იჯარებისა, ისინი გამოცხადდნენ საჯაროდ ვადებზედ 8. ოკტომბერსა და 15 ნოემბერსა, პირველის ორის იჯარისათჳს ქალაქს ბაქოში და მესამისათჳს ელისავეთპოლში, და ვისაც არ შეეძლოს ჴსენებულს ქალაქებში წასვლა, ისინი გამოცხადდნენ იმავე ვადებზედ საზოგადოს შეკრებილებაში უზენაესის საქართველოს მმართებლობისა, რომელშიაც უკანასკნელი ვაჭრობა დანიშნული არის პირველს დეკემბერსა ამ წლისასა.

2. საქართველო იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორისაგან ევრეთვე გაიცემიან იჯარით საეკლესიო იჯარები, ესე იგი სამღებროები, ქვემო აღწერილთ სოფლებში: 1 მცხეთას, 2 ნინოწმიდას, 3 კაკაბეთს, 4 ალავერდს, 5 უჯარმაში, 6 ჯიმითს, 7 ახაშენს, 8 შაშიანს, 9 კალაურს, 10 საგარეჯოში საკნავი მიწები, და 11 წისქვილი ქვაბთა ხევის მონასტრისა, მდგომარე ქალაქსა გორს, რომელთაც იჯარის ვადები შესრულდება მომავალს ჩყკა წელს. და იმათის აღების მუშტარნი უნდა გამოცხადდნენ საჯაროდ ჴსენებულს სინოდის კანტორში მერვეს საათიდამ მეთერთმეტე საათამდინ დილით, 1. 3. და 5. რიცხვსა ნოემბერსა ამ წლისასა.

პროვიანტის კომმისია აცხადებს ამით რომ ვისაც უნდოდეს მარდათ გასყიდვა ხუთი ათასის მარტყულის ტომრებისა პურის ჩასაყრელად, ისინი გამოცხადდნენ იმ კომმისიაში საჯაროდ დილით ათს საათზედ ყოველდღივ.

## სხვა და სხვანი უცხოს ქვეყნის ამბავნი:

### რუსეთიდამ

ჴელმწიფე იმპერატორი 12

აგვისტოს მეცხრეს საათს შუა დღიდამ მიბრძანდა ქალაქს ვლადიმირში, და მეორეს დღეს იქიდამ წარბძანდა უსტილუგში პოლშის სამეფოში.

აგვისტოს 15 კელმწიფე იმპერატორი მიბრძანდა პოლშის სატახტო ქალაქს ვარშავაში.— მისის დიდებულების სვიტაში იმყოფებიან ღენერალ ადიუტანტნი კნიაზ ვოლკონსკი და კნიაზი მენშიკოვი, და ბრიგადის ღენერალი პოლშის მხედრობათა ფრედრო. სტატს სეკრეტარი ღრაფი კაპოდისტრია მივიდა იქავე რამდენისამე დღის წინად.

## ფრანცია

პარიჟით. 14 აგვისტოს. ერთმა უცნობელმა გვამმა დანიშნა ყოველს წელიწადში კეთილის საქმისათვს საჩუქარი. ახლა ფრანცუზის აკადემიამ გაუყო ისი უბოლს ფილოპოს და მოსამსახურეს ჟენისსეს. პირველმან გაზარდა დაობლებული შვილები თავისის მეგობრის რენუსი, თუმცა თვთ იმყოფებოდა უკანასკნელს სიღარიბეში და მეორემ არა თუ ოდენ დააგდო თავისი უწინდელი ბატონი გაღარიბებული ვაჭარი მოდიე, არამედ რამდენსამე წელს შოულობდა მისთვს საზრდოსა თავისის კელსაქმარის ნაშრომით.

დღიური მუშა პოლენი იერანდში, რომლისაცა ცოლი მოახლოებული იყო დასაწოლად და იყო დიდს საჭიროებაში.— ამ ჟამად იმისმა უფროსმა ქალმა იპოვნა ქისა 15 ის ფრანკით, მაგრამ მამამ იხმარა ასეთი პატიოსნობა, რომ მაშინვე მიუტანა ეს თეთრი მღვდელსა და ჰსთხოვა იმის პატრონის პოვნა. პარიჟის ჟურნალმა აცნობა ეს საქმე საზოგადოებას და რომელთამე კაცთ მოყვარეთა გვამთა მოაგროვეს თავიანთში 130 ფრანკი სასარგებლოდ ამ ღარიბისა, მაგრამ კეთილის მოქმედის კაცისა.

## ანგლიიდამ

ლონდონით 15 აგვისტოს. ჩვენს გაზეთებში დაწერილი არის ფრიად დიდს სახსოვარი წერილი მისის დიდებულების კოროლევასი კოროლისადმი თვისისა მეუღლისა. წერილი ესე იპყრობს თვს შორის შეერთებასა აღმგზნებელის მგრძნობელობისასა და ქადნიერთა მუქარათა, აღმოუჩინებელთა შესმენათა და საწყენთა კიცხევათასა, შესაწუხებელთა საქმეთა პირისპირ თვთ მოხსარხისა, სარცხვინელისა ცილის წამებისათა უმაღლესისა ზედა სამსჯავროსა პარლამენტისასა, და სხვათა მრავალთა ჩლენთა მისთა საკუთრად.

## წერილი ესე არს შემდგომი

კელმწიფეო ჩემო! შემდგომად უმსგავსოთა და უშესაბამოთა დევნულებათა, რომელთაცა მოაწევდნენ ჩემზედა, განგრძობასა შინა რაოდენთამე წელიწადთასა, სახელითა და ნებითა თქვენის დიდებულებისათა; და რომელნიცა ნაცვლად მოსალოდებელისა, დროჲსაგან აღსუბუქებისა, შეიქმნებოდნენ მარადღე უდიდესად და უსაშინელესად,— შემდგომად ესრეთთა დევნულებათა ღირდა ჩემთვს დიდს გაბედვად, რომ მომემართა

თქუენის დიდებულებისადმი ამ წერილით. გარნა განვიზრახ, რომ კორთლობის ღირსება დაწესდების საუმჯელთა ზედა ყოვლად საზოგადოსა კეთილისათა, და რომელ უპირველესსა ამას განმაღვიძებელსა მიზეზსა სხვანი ყოველნი ჯერ არიან რათა დაუთმონ, და რომელ მოქმედებული პირისპირ ჩემსა ჰსჯულის წინააღმდგომი და უსმენელი ქცეულება შემძლებელ არს ქონებად უმეტეს შესაწუხებელთა შემდგომილებათა, არა მალმიძს მე, რათა არა მოვაგონო კვალადცა თქუენს დიდებულებასა ქმნილი ჩემდამო საშინელი უსამართლოება. თუმცა თქუენ აქამომდე შეგონებითა ცრუთა და პირისმომეერებელთა მრჩეველთათა დაბადებოდით ყოვლითურთ თჳნიერ ყურადღებისა თჳსათა მორჩილისა, ერთგულისა და შეწუხებულისა მეუღლისა თქუენისათა, არამედ მე კვალადცა ვიმედოვნებ, რომელ თქუენ მიიღებთ პატივსადებელად ღირსებასა თქუენისა გვირგვინისასა, სიმტკიცესა ტახტისასა და განსვენებასა სახელმწიფოსასა, რომელნიცა განუშორებლად შეერთებულ არიან ამა საქმესათანა. ამას მოითხოვენ კეთილდღეობა და უშიშროება ერთგულისა თქუენისა ერისა, რომელთაცა დიდსულნი გულნი მართლიად ჰსდრტვინვენ წინააღმდგომად ყოვლისა შეწირებისა და სასტიკობისა, და საკუთრად წინააღმდგომ ესრეთისა დარღვევისა ჰსჯულთასა.

გრძნობა მდედრულისა მორცხობისა აღმკრძალავს მე, რათა გან ვაცხადნე ჭეშმარიტნი მიზეზნი ჩვენის სახლეულობისა განრჩევისანი, და კვალად უმეტესად რათა მოვაგონო თქუენს დიდებულებასა ურიცხვნი და ფრიად უშესაბამონი შეწუხებანი, რომელნიცა იძულებით მომითმენიან მე ამას შემთხვევასა შინა. მოგანდობ თვით თქუენ, რათა დაზაველდეთ სვინიდისსა თქუენსა და ფიცსა მეუღლეობის ერთგულობისასა რომელიც თქუენ დაგიდვიათ ჟამსა ქორწინებისა ჩვენისასა.—მხოლოდ ნება მეცით რათა მოგაგონო თქუენ, რომელ ოდესცა განჰსდევნეთ თქუენგან მეუღლე თქუენი და მუძუთა ყრმა, მაშინ ქცევა ესე იყო მოქმედება საკუთრისა ნებისა თქუენისა, რომელ მე სრულიად არა მითხოვნია განშორება ესე, რომელ შევრაცხე მე იგი განჩინებად, რომელიცა თქუენ წარმოსთქვით ჩემ ზედა თჳნიერ ყოვლისა ბრალისა ჩემისა, და მხოლოდ ამისთჳს, რომ თქუენი დიდებულება იტყოდა საკუთრითა სიტყვითა და არა ჰქონდა კელმწიფება თჳსთა მიდრეკილებათა შინა.

უკეთუ დავამტკიცო, რომელ ესრეთმან მხედრმან არა აღმძრა მე სიღრმითგან გულისად, ესე იქმნების ეგოდენვე უშესაბამოდ, რაოდენცა უსამართლოდ. უკეთუმცა არა დამელტო მე ცრემლითა ჩემითა უბედური ქალი ჩემი, რომლისაც მომავალნი ვნებანი ადვილად შესაძლო იყო წინასწარ ხედვად მაშინ ნამდვილადვე არა ღირს ვიქმნებოდი სახელსა დედისასა. უკეთუმცა უდრტვინველად დავმორჩილებოდი განჩინებასა ამას მაშინ ნამდვილადვე იქმნებოდა ესე აღმოჩინებად ანუ ბრალეულობისა ჩემისა, ანუ ნაკლულევანობისა მათ გრძნობათასა რომელნიცა განთჳსებულ არიან შეწუხებულისადმი და უბრალოდ დასჯილისა დედა კაცისა.

რაჲცა იქმის განსვენებულისა და უზრუნველისა ცხოვრებისათჳს რომელიცა თქუენ

ალშიოთქვით მე, მაშინ მე ვნახე მას შინა მხოლოდ ოდენ სამწუხარო მოსაგებელი ურ-ძლისა მწუხარებისათჳს, რომელმანცა მოიცვა გული ჩემი. იგი საკუთრად შეერთებოდა ჰაზრსა მას, რომელ ყუდსა მაგალითისა, რომელსაც აჩვენებდა თქვენი დადებულება შედგომილი თჳსითა მიდრეკილებათადმი, აქვნდა ურიად საამოვნო ზიარყოფა საზოგადოსა ჰაზრსა ზედა; და რომელ ტკბილნი იმედნი ერისანი, განცხადებულნი ესოდენ ცხადითა სიხარულითა ჟამსა ქორწინებისა ჩვენისა, სანიადაგოდ განჰქარდნენ.

(ამისი განგრძობა შემდგომში იქმნება.)

---

შერთულნი ამბავნი:

ერთმა ამერიკანელმა სონბურში, რომელიც არის პენსილვანიას, იპოვა ჟამსა მოტეხისასა საშენებელის ხეებისა, ხმელის კუ, რომელსაც ქვემოთ ბაკან ზედ ამოჭრილი ჰქონდა შემდგომი სიტყვები: თომას [illegible]უსსერაელ 1712.— რობერთ ლუნტერ 1790.— იმან მოუმატა ამაზედ თავისი სახელიცა და გაუშვა ეს ცხოველი.

ნავი დალმატი, დანიშნული ჰაკეტბოტალ სიარულისათჳს თრიესტს და კორფუს შორის, შეამუსრა წყალთა შინა მელადისათა.— 21 მაისს ამ წლისა ოცის კაციდამ იქ მსხდომთა, რომელთაც ცურვით ნდომოდათ მორჩენა, გამოვიდნენ მარტო ორნი ცოცხალნი. ორნივე შეყვანილ იყვნენ იქ მახლობლად განმელელს ხომალდში, და ერთს მათ განს მატროსს ვოქატიოსს ეთქვა შემდგომი ამბავი: ხომალდის სუროს ნავის დაქცევის დროს დაენახა მრგვალი ნაჭერი ბოძლების საცომის ხისა, რომელსაც ხმარობენ ცურვის უცოდინარნი, და ნდომოდა იმითი ცურვა. მაგრამ ვოქატიოსს ძლევაში მყოფს იმისთჳს ეთქვა; მეგობარო ჩემო! მე ლონე გამომელია და არც ცურვა ვიცი, თუ ღმერთი გრწამს ეგ ხე მე დამითმე. ქმარწვილს სუროს ეჭასუხნა, წაიღეო, და მე ვეცდები რომ უამისოთაც მივაწიო ნაპირამდინამო; მაგრამ იმასაც მალე ძალა გამოლეოდა, და თავისის ამხანაგის მორჩენისათჳს შეეწირა თავისი სიცოცხლე.

ელიზა ბიჩიოკი უფროსი და ბუონაპარტესი და ყოფილი პრინცესსა ლუქისა და პიონბინისა გარდაიცვალა თავის მამულში ნერვების ციებისაგან.— იმისი გვამი მოიტანეს თრიესტაში.—

---